

**მაია მიქაშტაძე**

**სილოვან ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“  
(სხვადასხვა გამოცემათა შედარებითი ანალიზი)**

სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი „ქართული გრამატიკა“ (ნაწ. I, II) პირველად 1904 წელს გამოიცა ქუთაისში. ის თავისი დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელო იყო, რომლითაც მოსწავლეები ქართული ენის გრამატიკას V-VIII კლასებში სწავლობდნენ. პირველ წელს მოსწავლეები სწავლობდნენ სახელებსა და მათ ბრუნებას, ზმნებს, სინტაქსს, მათ კანონზომიერებებს; მეორე წელს – ფონეტიკურ წესებს, ზედსართავ სახელსა და ნაცვალსახელებს. შედარებით ვრცლად და ფართოდ იყო წარმოდგენილი ზმნა (გვარი, სახითა და კილოთი). მოსწავლეები ამ ეტაპზე უფრო ღრმად სწავლობდნენ სინტაქსს. მომდევნო წელსაც ისევ ზმნები და სინტაქსი ისწავლებოდა. მეოთხე – კურსის დამამთავრებელ წელს მოსწავლეები საფუძვლიანად ეუფლებოდნენ ფონეტიკის ძირითად მოვლენებსა და წესებს. ს. ხუნდაძის გრამატიკის კურსის ბოლოში გარკვეული ადგილი ეთმობოდა რიგ საკითხებს პოეტიკისა, ძველი ქართული სამწერლობო ენის ძირითად ფორმებს და, საერთოდ – ძველი ქართული ენის მიმოხილვას. როგორც ვხედავთ, ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკაში“ ქართული გრამატიკული სტრუქტურის საკითხები ოთხივე სასწავლო წლისათვის თანმიმდევრულად, სასწავლო პროგრამის ზედმიწევნით გათვალისწინებით იყო განაწილებული.

დღევანდელ სახელმძღვანელოებთან შედარებით მცირე მოცულობის კურსში ქართული ენის ძირითადი გრამატიკული კანონზომიერებანი ს. ხუნდაძის მიერ საოცრად კონცენტრირებულად იყო წარმოდგენილი.

როგორც ცნობილია, სილოვან ხუნდაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ხანგრძლივი, ძიებებით აღსავსე გზა მარტივი არ ყოფილა. ქართული გრამატიკისა და სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის კანონზომიერებათა შესახებ მისეულ მოსაზრებებს მოწინააღმდეგენიც მრავლად ჰყავდა, მათ შორის ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწენიც. ზოგი ფორმას უწუნებდა, ზოგიც გრამატიკული წესების უვიცობას სწამებდა. მაგრამ, როგორც მის შესახებ მონოგრაფიის ავტორი ლევან ზ. ურუშაძე წერს: „უამთა სვლამ, დროის წინაშე ჩინებულად ჩაბარებულმა გამოცდამ ცბადჰყო დიდი მამულიშვილის მოსაზრებათა დიდი ნაწილის კეშმარიტება“.

სილოვან ხუნდაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ენის სიწმინდესა და შეურყვანელობას. გამოცემის შემდგომ იგი თავის გრამატიკულ ნაწარმოებს ყოველთვის სრულყოფდა. ჩვენ საშუალება გექონდა ერთმანეთისათვის შეგვედარებინა „ქართული გრამატიკის“ პირველი ხუთი გამოცემა, რომლებიც 1904-1917 წლებში გამოვიდა ქუთაისში.

მეორე გამოცემის განმარტებაში ს. ხუნდაძე წერდა:

„ორი წელი გავიდა, რაც ჩემი „ქართული გრამატიკა“ პირველათ დაიბეჭდა და ეს არის მეორე გამოცემა იბეჭდება.“

ჩემს გრამატიკას საფუძვლათ ის კანონები უძევს, რომელიც „სალიტერატურო ქართულში“ აღვნიშნე. საზოგადოთ, ჩვენი ლიტერატურა კრიტიკული წერილებით ღარიბია და ჩემი გრამატიკული ნაწერებიც საფუძვლიანათ არ განხილულა. თუმცა, შედარებით რომა ვსთქვათ, „სალიტერატურო ქართულმა“ არაჩვეულებრივი ყურადღება დაიმსახურა“.

ს. ხუნდაძე გულდასმით ეცნობოდა მისი ნაშრომების შესახებ არსებულ გამოხმაურებებს და ცდილობდა, გაეოვალისწინებინა სამართლიანი შენიშვნები, თუკი ასეთს წააწყდებოდა: „რაც ჩემს წიგნებზე შენიშვნები დაიწერა, ყურადღებით მოვისმინე, მაგრამ შით იმისთანა საფუძვლები ვერ ვიპოვნე, რომ ჩემი შეხედულება და ჩემი დასკვნები შემეცვალა. მხოლოდ ბატ. ი. აბულაძის შენიშვნებით ვისარგებლე და შევასწორე კანონი, რომელიც ალი, ამი, ანი, არი-სა და მზგავსი დაბოლოების სახელთა ბრუნებას შეეხება“ (ს. ხუნდაძე, 1907: 37-39).

უსაფუძვლო და ნაკლებარგუმენტირებულ შენიშვნებს მკვლევარი იქით აკრიტიკებდა და, ბუნებრივია, არ იღებდა: „ზოგიერთი ჩემი კრიტიკოსი კეთილზმონების აღლოს მიწუნებს და ამბობს, რომ მართლწერა კაცად, შეცდომა, მოვიდნენ, სწერს და სხვ. უფრო კეთილზმონანია, ვიდრე კაცათ, შეცდომა, მოვიდენ, სწერს-ო და სხვ. კეთილზმონების შეგნება მახვილი სმენისა და განვითარებული გემოვნების შედეგია და არ შემოძლია ჩემი სმენა და გემოვნება სხვისას დაუვქვემდებარო... გარდა ამისა, კეთილზმონებას ხშირათ მტკიცე კანონებიც აქვს, რაიცა ჩემს წიგნებში საკმაოდ განმარტებულია და გარდა სმენისა და გემოვნებისა მე კანონებითაც ხელვმძღვანელობ...“

სილოვან ხუნდაძის არგუმენტების სიძლიერე ის გახლდათ, რომ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ის თვითონ არაფერს არ თხზავდა, არამედ სხვადასხვა კუთხის (ამერეთია ის თუ იმერეთი) ფორმებსა და სიტყვებში უპირატესობას იმას აძლევდა, რომელიც მისივე სმენითა და გემოვნებით უფრო კეთილზმონანი იყო და მასთან, ქართული ენის თვისებასაც არ ეწინააღმდეგებოდა.

სილოვან ხუნდაძის მართებული აზრით, „გრამატიკის სარგებლობა მისი სწავლების სისტემაზეა დამყარებული. სარგებლობის მაგიერ ვნებას მოუტანენ, თუ მოსწავლეებს მშრალი კანონები და ფორმები აზეპირებიეს. გრამატიკის სწავლებას მხოლოდ პრაქტიკული მიზანი უნდა ქონდეს: ყმაწვილმა სწორი ლაბარაკი და კანონიერი წერა-კითხვა შეისწავლოს. ამისათვის მასწავლებელმა ყმაწვილებს თავდაპირველათვე თეორიული ნაწილის შესწავლაზე თავი არ უნდა ატეხოს (მაგალითად: რა არის ზმნა? ნაცვალსახელი?... და სხვა სიტყვის ნაწილები, – რა არის წინადადება? რამდენგვარია წინადადება? და სხვ. და სხვ.), – არამედ – რაც შეიძლება ხშირად ავარჯიშოს და მეტი მაგალითი მიაწოდოს წინადადებებისა და იმ აზრებისა, რომელიც ბავშვს სიტყვების სწორათ ხმარებასა და აზრების რიგიანათ დალაგებას შეაჩვევს. წინ პრაქტიკული ვარჯიშობა წაუძღვარონ და ბოლოს თეორია იმდენათ გაუთვალწინონ, რომ პრაქტიკულათ შეთვისებული შეგნებით ესმოდესთ“.

სწორედ ამ პრინციპებს ემყარება სილოვან ხუნდაძის გრამატიკა, რომლის თითოეულ გამოცემასაც ავტორი გულდასმით ხვეწდა და ავსებდა.

მეოთხე გამოცემის შემდეგ ავტორი წერდა:

„ამ გამოცემაში გრამატიკის შინაარსი თითქმის უცვლელათ რჩება (ორ-სამ ალაგას უმნიშვნელო წერილმანებია მხოლოდ ოდნავ შესწორებული). საკარნახო მასალა კი გამოვსტოვე. რადგან უმჯობესათ ვპოვებ – სხვა სახით იქნეს იგი შედგენილი (პატარა-პატარა მოთხრობების ხასიათი ქონდეს, და არა ცალკე ფრაზებისა) და ცალკე გამოიცეს“.

ამავე გამოცემის ბოლოს ს. ხუნდაძე საჭიროდ თვლის უპასუხოს ი. ყიფშიძეს, რომელიც თავის ნაშრომში – *Грамматика мингрельского языка* (წინასიტყვაობა) ეხება სილოვანის შეხედულებას მეგრულის შესახებ.

კერძოდ, ს. ხუნდაძის აზრით. „მეგრული და სვანური ქართული ენის შტოებია და ის განსხვავებული ფორმები და სიტყვები, რომლითაც ეს კილოკავები დედა-ქართულისაგან გაირჩევა, იმით აიხსნება, რომ უხსოვარ დროს, როცა ქართველი ტომების საერთო ენა ჯერ კიდევ განვითარებული არ ყოფილა, რამდენიმე ოჯახი საერთო ფუძეს მოშორებია და განსხვავებულ პირობებში დაუწყია ცხოვრება – და ანიტომაც განსხვავებული ფორმები და ტერმინოლოგია შეუქმნიათ“.

ი. ყიფშიძე ამ მოსაზრებას უსაფუძვლოსა და მეცნიერებისაგან დიდი ხანია უარყოფილს უწოდებდა.

ს. ხუნდაძე მოკლედ პასუხობს ი. ყიფშიძეს: „მე ვფიქრობ, რომ მეცნიერება აქ არაფერ შუაშია: ჩემი აზრი მხოლოდ ჰიპოთეზაა, მოსაზრება და ლოდიკურიც, საფუძვლიანი და ამის წინააღმდეგი მეცნიერებას არაფერი დაუმტკიცებია. ბ-ნ ყიფშიძეს ალბათ გონია, რომ მეცნიერება და ქეშმარიტება მხოლოდ იმის პირით დაღადებს, ვინაც მას, ბ-ნ ყიფშიძეს, ესიმპატიება!...“

„ქართული გრამატიკის“ მეოთხე-მეხუთე გამოცემებში სილოვან ხუნდაძეს დამატებული აქვს „ქართული ენის კილოკავების მეგრულისა და სვანურის გრამატიკული ფორმები“.

ზოგადად მეგრულის შესახებ ს. ხუნდაძის თვალსაზრისზე აქ არ შეგჩერდებით და მხოლოდ იმ ცვლილებათა ანალიზს წარმოვადგენთ, რაც პირველ ხუთ გამოცემაში დავადასტურეთ.

ცვლილებები, როგორც თვითონ ს. ხუნდაძე აღნიშნავს, მართლაც უმნიშვნელოა:

1. 1904 წლის გამოცემაში ზმნებში ს. ხუნდაძე იყენებს ს- პრეფიქსს განურჩევლად ზმნის პირიანობისა. ე.ი. ს- გვხვდება როგორც ერთპირიან, ისე ორ- და სამპირიან სხვადასხვა ტიპის ზმნებში, გარდამავალსა თუ გარდაუვალში; მაგ.: სთოვს, სწვიმს (ს. ხუნდაძე, 1904: 113), ჩამოსცვინდა, ჩამოსცვივდეს, ჩამოსდინდა... (იქვე: 165). 1917 წლის გამოცემაში ეს მაგალითები უსანოდ არის მოყვანილი: თოვს, წვიმს, ჩამოსცვინდა, ჩამოსცვივდეს, ჩამოსდინდა...

ამის შესახებ ს. ხუნდაძე წერს: „ხმა ს ზმნებში: ზოგიერთ ზმნებს კეთილზმონებისათვის მიმოზრისას ხმა ს ჩაერთვის, - სახელდობრ იმ ზმნებს, ძირის თავში რომელიმე ამ თანზმონთანაგანი უზის: დ, თ, ტ, ც, ძ, წ, ჭ, ჯ...“ და ჩამოთვლილია მაგალითები: დგმა, თიბვა, ტირილი... > სდგამს, სთიბავს, სტირის... [აქედან რამდენიმე ზმნა გამორიცხვას შეადგენს, ე. ი. უსანოთ იხმარება: ვთრთი, ვთოხნი, ვთხზავ, ვცხოვრობ, ვცეკვავ...] (იქვე: 170).

მოგვიანებით, 1917 წლის მეხუთე გამოცემაში, ს- ბგერა ზემოთ აღნიშნულ პოზიციებში ყველგან აღარ გვხვდება. ხოლო იმავე საკითხზე მსჯელობისას

შენიშვნას აკეთებს: ხმა ს ამ შემოხვევაში მოქმ. გვარის ზმნებს თითქმის ყველას დაერთვის, საშუალო გვარისას კი – მხოლოდ რამდენსამე, მაგ.: სტირის, სტყუის, ვსწუხვარ, ვსტკბები, ვსტკნები, სჯობია (სჯობს), სჭირია (სჭირდება), სჯერა, სტკივა, სწყურია, სდუმს და სხვა (ს. ხუნდაძე, 1917: 170).

2. -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა შესახებ საუბრისას ს. ხუნდაძე აღნიშნავს, რომ ზმნებს, რომელთაც მყოფადში დაბოლოება -ავ ან -ამ აქვს (ვიკითხავ, ვიხილავ, შევსვამ, ჩავიცვა და სხვ.), ნამყო III-ში ეს ნიშნები გადაჰყვებათ, ხოლო დანარჩენი ზმნების დაბოლოება ნამყო III-ში არის -ია: დავსწერ – დამიწერია, ავაშენებ – ამიშენებია... (ს. ხუნდაძე, 1904: 138).

1917 წლის გამოცემაში შენიშვნაში დამატებულია, აგრეთვე, ზმნა ვსკამ > მიჭამია.

დაახლოებით იმავე ხასიათის განსხვავება აქვს ავტორს დამატების სახით 157-ე გვერდზე, სადაც თავმოყრილია შენიშვნები ზმნების შესახებ; კერძოდ, მე-5 შენიშვნაში წერს: „ავიღოთ მყოფადი დრო: წავიკითხავ, შევსვამ, - აქიდან ნამყო III იქნება წამიკითხავს (წავიკითხავს, წაუკითხავს და სხვ.), შემისვამს (შევისვამს, შეუსვამს და სხვ.)“.

მაშასადამე, ნამყო III-ში უნდა ვიხმაროთ ფორმები გამიბედავს, გამოხატავს [გამორიცხვას შეადგენს ზმნა: ვსკამ- ნამყო III – მიჭამია, გიჭამია, უჭამია და სხვა]“. ეს გამონაკლისი არ არის სწორედ 1904 წლის გამოცემაში.

3. სახელთა ბრუნებაზე საუბრისას 1917 წლის გამოცემაში ს. ხუნდაძეს დამატებული აქვს თავისებურად ბრუნებადი სახელის ღმერთის შესახებ შენიშვნა: სიტყვა ღმერთი ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში განსხვავებულათ იბრუნვის: ღვთის, ღვთით (ს. ხუნდაძე, 1917: 39)

4. წოდებით ბრუნვასთან დაკავშირებით მეხუთე გამოცემაში დამატებით აზუსტებს, რომ აღნიშნულ ბრუნვაში „დაბოლოება ო-ნის მაგიერ ვ-ნი მხოლოდ იმ შემთხვევაში იხმარება, როცა განყენებითი საგნის არს. სახელს ვაბრუნებთ და როცა იგი სახელობით ბრუნვაში ა-სა და ე-ზე ბოლობდება – მაგ.: ჩემო ბედნიერებავ, ჩემო სიკეთევ“ (იქვე: 41).

5. ნაცვალსახელებზე საუბრისას, ს. ხუნდაძეს, პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, შემდგომ გამოცემებში დამატებული აქვს ინფორმაციები ზოგიერთი ნაცვალსახელის თავისებურების შესახებ: მაგალითად აღნიშნავს, რომ:

ა. რამე, ვინმე, რაღაც, ვიღაც, ყველა ნაცვალსახელები არსებით სახელებთან ერთად ბრუნებისას არ იცვლება: რაღაც საქმე, რაღაც საქმის, რაღაც საქმეს, რაღაც საქმეები; ყველა საქმემ, ვიღაც კაცი, ვიღაც კაცმა...

ბ. ეს, ეგ, ის, იგი ნაცვალსახელები არსებით სახელებთან ყველა ბრუნვაში სახელობითს გარდა იხმარება ფორმებით ამ და იმ: ეს (ეგ) კაცი, ამ კაცის, ამ კაცს...

გ. სიტყვები ერთი და იგივე არსებით სახელთან იბრუნვის შემდეგნაირად: ერთი და იგივე საქმე. ერთისა და იმავე საქმის, ერთსა და იმავე საქმეს, ერთი და იგივე საქმეები, ერთსა და იმავე საქმეებს... (უკანონოთ ხმარობენ ერთისა და იგივე საქმის, ერთსა და იგივე საქმეს და სხვა) (ს. ხუნდაძე, 1917: 48-49) .

დ. ქვემდებარისა და დამატების ბრუნვებზე საუბრისას პირველ გამოცემაში ს. ხუნდაძე წერს: „იმავე დროებში ქვემდებარე მიცემით ბრუნვაში დაისმის

აგრეთვე საშვალო გვარის იმ ზმნებს შემდეგ, რომელიც აწმყოში ები-ზე არ ბოლოვდება (ვთრთი, ვცურავ): ბავშვს უთრთოლია, ბავშვს უნდა ეცურა, და სხვ.

თუ მოქმედებითი გვარის ზმნა პირობით კილოში ზის, მიცემით ბრუნვაში დამატება დაისმის: ბავშვი წერილს დასწერდა“ (ს. ხუნდაძე, 1904: 150).

მეხუთე გამოცემაში იმავე საკითხზე მსჯელობისას -ები დაბოლოებასთან ერთად ამატებს -ევი დაბოლოებასაც („ამავე დროებში ქვემდებარე მიცემით ბრუნვაში დაისმის აგრეთვე საშვალო გვარის იმ ზმნებს შემდეგ, რომელიც აწმყოში ები-სა და ევი-ზე არ ბოლოვდება“); ასევე აზუსტებს დამატების მიცემით ბრუნვაში დასმის შემთხვევებსაც: „თუ პირველი მიმობრის მოქმედებითი გვარის ზმნა აწმყოში ან მისგან ნაწარმოებ დროებში ზის, მიცემით ბრუნვაში დამატება დაისმის: ბავშვი წერილსა სწერს, სწერდეს, დასწერდა, ნუ სწერს, ნუ დასწერს“ (ს. ხუნდაძე, 1917: 150).

7. ზმნების შესახებ შენიშვნებზე საუბრისას მე-6 შენიშვნაში მეხუთე გამოცემაში მოცემულია -ენ დაბოლოებიანი ზმნების ანალიზი, დამატებული აქვს ერთი მაგალითი: მე ვეჩვევი - ისინი შეეჩვიენ (იქვე: 158).

8. ზმნების შესახებ მე-16 შენიშვნაში ყველა გამოცემაში უწერია: „ზმნისაგან ვწევარ მრავლ. რიცხვის მესამე პირში ფორმა წვანან არ არის კეთილზმონი; უმჯობესია და კანონიერია ფორმა წევან (ის წევს > ისინი წევან)“. თუმცა მეხუთე გამოცემაში, პირველისაგან განსხვავებით, ხაზგასმული აქვს სიტყვა კანონიერია (ს. ხუნდაძე, 1917: 161). ესე იგი, ამ გზით ავტორი მისთვის უფრო მნიშვნელოვან და ყურადღებამისაქცევ ფაქტს აზუსტებს.

9. მეხუთე გამოცემაში დამატებული არის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც წინადადებაში უნდა ვერიდოთ ნაცვალსახელებისა და რომ კავშირის ხშირად გამოყენებას და აღნიშნულია, რომ „არ უნდა ვიხმაროთ ისინი არსად, სადაც კი უმათოდ აზრი გასაგები იქნება, - მაგალითად: ა. მე ჩემს მეგობართან წავედი; მე მინდოდა - დამემტკიცებია მისთვის, რომ მე მართალი ვიყავ. - აქ ნაცვალსახელი მე არსად საჭირო არ არის, ან შეიძლება მართლ თავში დავსტოვოთ: - ბ. რომ დამარწმუნონ, რომ უცებ გაგამდიდრებთო, უსინიდისობას მაინც არ ჩავიდენ. - აქ მეორე რომ უნდა გამოიტოს“ (იქვე: 176).

10. მეხუთე გამოცემაშიცა დაკვირვება წინადადებაში გამოყენებული ზმნური ფორმების დროთა შეთანხმების შესახებ:

„რთულ წინადადებაში დროთა კანონიერ შეთანხმებას ხშირათ არ აქცევენ ხოლმე ყურადღებას, - მაგალითად: ა. ნამყოს მაგიერ მყოფადს ხმარობენ: მარშან განვიზრახე - დაუყონებლივ საზღვარგარეთ წავიდე და ვიაქიმო (უნდა იყოს წავსულიყავ და მეაქიმებია); აწმყოს მაგიერ მყოფად ხმარობენ: ვზივარ ტყეში და ვხედავ, რომ ყურდგელი მოშიახლოვდება, ჩირგვში ჩაწვება და ჩაიმალება (უნდა იყოს: მიახლოვდება, წვება, იმალება)“ (იქვე: 176-177).

11. მეხუთე გამოცემაში საუბარია რუსული ენის გზით შემოსულ კალკირებულ გამოთქმებზე, კერძოდ, პირდაპირი მიმართვის უმართებულო გამოყენების შესახებ დამოკიდებულ წინადადებაში: „რუსული ენის გავლენით ხშირათ უკანონო კონსტრუქციას ხმარობენ. - მაგალითად: ა. სანდრომ სთქვა, რომ ის თფილისს

მიღის; ბ. შენ მეუბნები, რომ მე მდიდარი ვარ, და სხ. – დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი ქართულათ იმ პირში დაისმის, რომელიც პირდაპირ მიმართვაში უნდა იყოს ხოლმე. – მაშასადამე, ზემოხსენებული წინადადებანი ასე უნდა გამოვსთქვათ: ა. სანდრომ სთქვა – თფილისს მივდივარო; ბ. შენ მეუბნები – მდიდარი ხარო“ (ს. ხუნდაძე, 1917: 177).

12. 1917 წლის გამოცემაში, პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, დამატებით არის მსჯელობა განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში -ც ნაწილაკის გამოყენების შესახებ.

ს. ხუნდაძის დაკვირვებით. „როცა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ნაცვალსახელით „რომელი“ იწყება, მას უთუოდ ნაწილაკი ც უნდა ახლდეს... რომელიც ამ შემთხვევაში განმარტებითი ნაცვალსახელის რომელიც კუთვნილებაა: ნაცვალსახელს ეკვეცება და მის თანამდევარ სიტყვას ემატება. მაგ., წინადადება – ეს იმისთანა საქციელია, რომლის გამართლება არ შეიძლება, კანონიერათ ასე ითქმის: ეს იმისთანა საქციელია, რომლის გამართლებაც არ შეიძლება“ (იქვე: 177-178).

13. სინტაქსური საკითხების განხილვისას, მეხუთე გამოცემაში დამატებული არის მსჯელობა წინადადებაში შემასმენლის ადგილის შესახებ:

მეცნიერი აღნიშნავს, რომ „შემასმენელი შეიძლება წინადადებაში თავშიც იყოს, შუაშიც და ბოლოშიც. შემასმენელი ქვემდებარის წინ (წინადადების თავში ან შუაში) მაშინ დაისმის, როცა მოქმედებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. – მაგალ.: საკვირვლათ მიყვარს დაბურულ ტყეში ხის ძირას ჯდომა; – კარგი რამ იყო თავად თათქარიძის საზღკარი. – ჩვეულებრივ საუბარსა და მოთხრობაში კი ქართულ ენას, ლათინური ენის მზგავსათ, შემასმენელი წინადადების ბოლოში უფრო შეშენის. – მაგალ.: მელამ ოფოფს კითხა: „სამეფო ჯილა ვინ მოგცაო?“ ოფოფმა უპასუხა: „სოლომონ მეფემ თავისი ხელით დამადგაო“... (იქვე: 178-179).

ეს არის ის მართლაც არტთუ მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც პირველიდან მეხუთე გამოცემამდე განიცადა სილოვან ხუნდაძის „ქართულმა გრამატიკამ“; გამოცემების ერთმანეთთან შედარების შედეგად ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ სრულყოფდა, ხვეწდა და ავსებდა მეცნიერი თავის შეხედულებებსა თუ ჰიპოთეზებს საკუთარი პრინციპების მიხედვით, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მკვლევარი მისი ნაშრომების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, როგორი ყურადღებით აკვირდებოდა კრიტიკულ შენიშვნებს, როგორ ითვალისწინებდა და იღებდა მისთვის მისაღებსა და არგუმენტირებულ თვალსაზრისს და როგორ იდგა მყარად საკუთარ პოზიციებზე წინააღმდეგ შემთხვევაში.

#### დამოწმებული ლიტერატურა

ს. ხუნდაძე, 1904 – ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი; ქუთაისი, 1904, ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა.

ს. ხუნდაძე, 1907 – ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი; მე-2 შვეს. გამოცემა, ქუთაისი, ვ.ი. ბეჟანეიშვილის წიგნის მალაზიის გამოცემა, 1907; ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბა.

ს. ხუნდაძე, 1911 ვ ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი; მე-3 შვეს. გამოცემა, ქუთაისი, თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა, 1911, ი. ხუნდაძის სტამბა.

ს. ხუნდაძე, 1915 – ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი; მე-4 გამოცემა, ქუთაისი, 1915; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტამბა.

ს. ხუნდაძე, 1917 – ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი; მე-5 გამოცემა, ქუთაისი, 1917; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტამბა.

## MAIA MIKAUTADZE

### SILOVAN KHUNDADZE'S GEORGIAN GRAMMAR (COMPARATIVE ANALYSIS OF DIFFERENT EDITIONS)

The first edition of Silovan Khundadze's "Georgian Grammar" was published in 1904 in Kutaisi. It was a very popular textbook of its day for teaching of the Georgian Grammar to fifth-eighth graders in secondary schools.

The issues of the Georgian grammatical structure are covered by Silovan Khundadze's "Georgian Grammar", being consistently distributed over the four-year period and closely following the school curriculum.

S. Khundadze highly valued the purity of the Georgian language. He had always re-edited his grammatical research papers.

The proposed article analyses the modifications occurred throughout the first five editions of Silovan Khundadze's "Georgian Grammar" (published in 1904, 1907, 1911, 1915, 1917, respectively).

Through comparing the above-mentioned editions we have identified the ways in which the scholar reconsidered and modified his views and hypotheses in line with his principles, how closely he followed the considerations and critical statements of other scholars by accepting rational and well-reasoned criticism, on the one hand, and defending his own ideas, on the other hand.